

“ნაცხროვა” და “ქოცნახირი”

ნოემბერი 10, 2021

ორივე ტერმინი _ “ნაცხროვა” და “ქოცნახირი” _ ზუსტად არის მორგებული. აგრესიული, კბილებდაკრეჭილი, სისხლისმსმელი, ლემის მჭამელი “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, ანუ “ნაცხროვა”, რომელმაც საქართველო სისხლით მორწყა; და ინდიფერენტული, რქიან-ჩლიქოსანი, ვეგეტარიანელი, მცობნავი, იალაღებზე გასული “ქართული ოცნება”, ანუ “ქოცნახირი”, რომელმაც გადაჭამა და ფუნით გაავსო ქვეყანა.

ავთრების ხროვის შიშით დაბეჩავებული ქართველი ისევ მობალახე ნახირს აეკიდა. ამ “ქოცნახირის” მწყემსი არც ისეთი ბრიყვია და თავისი საქმე იცის: გამათხოვრებული ქვეყნის ხარჯზე მილიარდებს ამრავლებს და ოფშორებში აბანდებს, თანაც თავს ამადლის ქვეყანას და ხროვის რევანშით აშინებს. ისე არ გამიგოთ, რომ პრობლემას მხოლოდ ამ ორ პარტიაში ვხედავდე. ამას წინათ ტელევიზია “ოზიექტივის” მიკროფონიანმა გოგონამ მკითხა ქუჩაში: “ორი პარტიის ტყუილებით თუ დაიღალეთ?” – “რატომ ორის? ყველა პარტიის ტყუილებით დავიღალე!” _ მივუგე მე.

თუმცა არც პარტიებია მთავარი პრობლემა. მთავარი პრობლემა ის ქართველია, რომელიც “ქოცნახირის” გარდა გზას ვერ ხედავს (“ნაცხროვის” მოტრფიალებზე ხომ არაფერს ვამბობ), ვერ აფასებს უფულო, მაგრამ ღირსეულ პიროვნებებს, მხოლოდ ფულით გატენილ ბანდიტებს შორის ირჩევს... საერთოდ, ამაზრზენნი არიან ე.წ. ცნობადი სახეები, რომლებსაც ტელევიზიებში ტრიბუნა აქვთ დათმობილი და ზოგი “ქოცნახირს” ემსახურება, ზოგი _ “ნაცხროვას” (ვიღაც წვერგაუპარსავი ტიპების გაუთავებელი ქაქანი კონსერვატიზმსა და ლიბერალიზმზე კიდევ ცალკე “მოვლენაა”).

აქვე მინდა, გასაგებად დავწერო და, ვინმეს თუ არ ახსოვს, შევახსენო: ნაცებს მე მაშინ ვაგინებდი საჯაროდ, როდესაც ისინი ხელისუფლებაში იყვნენ და, მაშასადამე, გაცილებით მეტ საფრთხეს წარმოადგენდნენ, ვიდრე ახლა. სხვათა შორის, გინებაზე: მე და ჩემისთანები “ნაცხროვამ” იმიტომაც არ დასაჯა მწარედ (გარდა იმისა, რომ პოლიტიკურად ხელს არ აძლევდათ), განსხვავებით, მაგალითად, ერთი სასტიკად ნაცე მი დეპუტატისაგან ან ციხეში ჩაკეტილი და დაკითხვების ხისტი მეთოდებით შეშინებული პოლიტოლოგი სგან, რომ “მიშას” ოჯახს არ გავუშინაურდით, არ დავუახლოვდით, არ ველაქუცეთ და ამ ყველაფრის მერე არ დავუწყეთ ცოლის და დედის ხსენება! ჩვენ არ შეგვცხენენ, როგორც გარეშე პირებს (თუმცა კანონი ოდნავადაც რომ დამერღვია, იცოცხლეთ, შემჭამდნენ).

მაშ ასე: ჩემი პოზიცია არ დამიმაღლავს და “ნაცხროვის” არ შემშინებია, ამიტომ დღეს ნაცებს თითქმის არ ვეხები, აბუჩად არ ვიგდებ ციხეში მჯდომ სააკაშვილს. ამას ბევრი ისეთი აკეთებს დღეს, რომელიც “მაშინ” სადღაც იყო შემძვრალი. მაგალითად, ბატონი “ტრუსკავეცი” ან თმაკულულა ექს-სპიკერი და მათი მსგავსნი. არც რაციონის თვლას დავუწყებ მოშიშმილე პატიმარს, თუნდაც ნაძირალათაგან ყველაზე დიდ ნაძირალას. მერე რა, რომ ხილფაფა შეჭამა? აბა, სცადეთ, წვენზე და ხილფაფაზე იყოთ, შიმშილი, თანაც ძლიერი, პერმანენტულად თუ არ შეგაწუხებთ. მაგრამ, ესეც არ იყოს, როდემდე გინდათ სააკაშვილის რაციონზე, ციხის ყოფაზე, ციხიდან გამოსულ წერილებსა და მითითებებზე ყაყანი? თქვენ ის ხელისუფლება არ ხართ, რომელიც სააკაშვილს გირგვლიანის მკვლელების უკანონო გათავისუფლებას ედავებით, მაგრამ ცოტათი ადრე იმავე მკვლელების უკანონოდ გამომშვებ მოსამართლეებს გაურიგდით და დააწინაურეთ? სად არის ლოგიკა და სირცხვილი?! მომავალი 6 წლის განმავლობაში (რაც “მიშას” აქვს მისჯილი), ყოველდღე რომ არ ვისმინოთ “ციხის ნიუსები მიშაზე”, რაიმე “ისეთი” უნდა მოხდეს. ალბათ, ის, როგორც “ტრუსკავეცმა” თქვა ცინიკურად: ადამიანი შიმშილობით ორმოც დღეს ძლებს და ვნახოთ, სააკაშვილი 41-ე დღეს ცოცხალი თუ იქნებაო. “ტრუსკავეცმა” ამ განცხადებით “მოზიძინე” პრემიერს გადააჭარბა, რომელმაც პატრონს სახელობის დღე “მიშას” დატყვევებით მიულოცა... ეს არის ჩიხი, პრაქტიკულად გამოუვალი ვითარება. ამ ჩიხიდან ქვეყნის გამომყვანი ეს ხელისუფლება და ეს საზოგადოება არ არის. ელემენტარულში იყიდებიან _ თავიანთ უსუსურობას ავლენენ და მათგან სხვას რას უნდა ველოდოთ. აი,

მაგალითად, “ქოცნახირს” აყოლილი ხალხი (ისიც ნახირი?) ახლა ყვირის: “ირაკლი, როგორ გაბედე და გადაგვადდე, კოვიდპასპორტები შემოიღე და ეგ იგივე იძულებითი ვაქცინაციაა, ირიბად!” დიახ, პატივცემულე, ასეა: დაგპირდათ, არ იქნება იძულებითი ვაქცინაციაო, მაგრამ გადაგადდით. აბა, ორი წლის წინათ იმავე სიმღერას რომ გიმღეროდნენ – ოღონდ სალომე აირჩიეთ პრეზიდენტად და მეტს აღარ გადაგადებთო, ხომ აგარჩევინეს და მაინც გადაგადდეს? ახლაც ზუსტად იგივე განმეორდა – ოღონდ ახლა აგვირჩიეთ, “ნაცხროვა” არ დაუშვათ ხელისუფლებაში და იძულებით ვაქცინაციასაც არ გკადრებთო, დაგპირდნენ. თქვენისთანების დახმარებით გაიმარჯვეს და მაშინვე დაივიწყეს დაპირება. ახლა ისევ გლობალისტები თუ გვიშველიან, შეცვლიან “რეგულაციებს” და აქაც შეიცვლება კოვიდპასპორტების გამოყენება, მაგრამ ჯერ მოგიწევთ დისკრიმინაციის ატანა. ზემოთ ნახსენებ “ცნობად სახეებს” მივუბრუნდები, უფრო ზუსტად, ტელევიზიებში “გაჯეჯილებულთა” იმ ნაწილს, რომლებიც “ქოცნახირზე” მუშაობს. ვეჟო, ეს რუსეთი როგორ არ მოგებურდათ?! “ნაცხროვა” ხომ დამთხვეულია და ყველაფერში პუტინი ელანდება (უკვე ვფიქრობ, რომ ალაღად), მაგრამ თქვენ, ფრიად ჭკვიანნი, პატრონისთვის კოჭის გამგორებელნი, ასე რამ დაგაქლიავათ? რუსთომოძულებობა, რომლის ექსპლუატაციასაც “ნაცხროვასავით” უნამუსოდ ეწვეით, არა მხოლოდ ამორალურია, არამედ ნაკლებ ეფექტიანიც. ცდილობთ სააკაშვილის დისკრედიტაციას, როგორც რუსეთის დაკვეთის შემსრულებლისა. “ნაცხროვამ” თვითონ აიგდო სასაცილოდ თავისი ბელადი, როდესაც იგი “პუტინის პირად პატიმრად” გამოაცხადა და ხროვის წევრები ამ სისულელეს ფრიად სერიოზული სახის გამომეტყველებითა და დრამატული ინტონაციით იმეორებენ. მაგრამ, როგორც კი “ნაცები” ასეთ შეცდომას უშვებენ და თავს იმარგინალებენ, საქმეში ერთვებიან “ქოცები” და სააკაშვილს ისევ სერიოზულ იმიჯს უბრუნებენ, როდესაც მას “კრემლის კაცად” აცხადებენ! ერთმა ცნობილმა “ცნობადმა სახემ”, რომელსაც ღრმა დაშიფრვის მიზნით “ქოცნობს” ვუწოდებ, ასეთი რამეც გამოაცხადა: შეხედეთ, რა დღეში არიან რუსული ტელევიზიები, გაჰკვივიან, მიმას არჩევნები გაუყალბესო, ამიტომ დასკვნები გააკეთეთ, ხალხო, მიმა ვის დაკვეთებს ასრულებსო...

ყველა, ყველა, მაგრამ რუსულ ტელევიზიებს “მიმასათვის” ხელის დაფარებაში ვერ დაადანაშაულებ! პირიქით, რუსული ტელევიზიები არ ცხრებიან და ხან სერიოზულად, ხანაც ცინიკურად “მიშიკოს” გაპარტახებაზე არიან გადასულნი. ერთადერთი რუსული არხი, რომელიც სააკაშვილს ექომაგება, არის ოპოზიციურ-ანტიპუტინური “დოჟდი”, თავისი პათოლოგიური, ბოღმით გაჟღენთილი წამყვანით ეკატერინა კოტრიკაძით, რომელიც “მიშაზე გიჟდება”. ახლა შენ, “ქოცნობო”, რატომ კადრულობ ასეთ ტყუილს და “მიმას” მოძულე ქართველებს რუსეთს აძულებ (შენი ჭკუით) – არიქა, ჩვენს მტერ “მიმას” ჩვენი კიდევ უფრო დიდი მტერი რუსეთი უჭერს მხარსო?! იქნებ, სააკაშვილიც იმ ძალებმა გამოგზავნეს საქართველოში ციხეში ჩასაჯდომად, რომლებმაც ნავალნი დააბრუნეს რუსულ ციხეში? ამაზე რომ იფიქრო, თავი გეტკინება? მე ვიფიქრე და, სიმართლე გითხრათ, არც ამის მჯერა, მაგრამ ყველამ თავისი დასკვნა გააკეთოს!

გულბაათ რცხილაძე,

“ევრაზიის ინსტიტუტის” ხელმძღვანელი